ხელშეკრულება N#ეკ/139
(მომსახურების შესახებ)

ქ. თბილისი 8 ოქტომბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, შპს „ჯმტ-ქარხანა“ მისი დირექტორი გიორგი დარცმელიას სახით, შემდგომში `შემსრულებელი'' და მეორეს მხრივ , ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“ მისი დირექტორის თამაზ დარჩიძის სახით, შემდგომში `დამკვეთი'', საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის ”ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. “დამკვეთის” მოთხოვნის შესაბამისად “შემსრულებელი'' იღებს ვალდებულებას ქ.თბილისში მდებარე რესტორანში “ვერიკო” (შემგომში `ობიექტი”) 2019 წლის 11 ოქტომბერს განახორციელოს წინასწარ დაგეგმილი ღონისძიებით უზრუნველყოფა (შემდგომში მომსახურება).
1.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის ღონისძიებით უზრუნველყოფა გულისხმობს:
ა) წინასწარ შეთანხმებული და დაგეგმილი ღონისძიებით და კორპორატიული წვეულებებით უზრუნველყოფა;
ბ) დამკვეთის მიერ მითითებულ რაოდენობაზე და მითითებულ დროს მაგიდის დაჯავშნა;
ც) პერსონალითა და შეკვეთილი კერძებით მომსახურება;

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების 1-ლ მუხლში გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება შეკვეთის შედეგად და აისახება მხარეთა მიერ შედგენილ ინვოისში. ამასთან ინვოისში მოცემული თანხა დაკორექტირდება მომსახურების დასრულებისას და დამატებით აისახება მხარეთა მიერ გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში, თუმცა მომსახურების ღირებულების ზედა ზღვარი განისაზღვრება არაუმეტეს 1700 (ათასშვიდასი) ლარისა.
2.2 მომსახურების ანაზღაურება მოხდება შემდეგნაირად: მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 საბანკო დღის ვადაში.
2.3 დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს ადმინისტრაციული ასისტენტი, Hღ რუსუდან გოგისვანიძე.
2.4 ანგარიშსწორება ხორციელდება ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
2.5 ანგარიშსწორება განხორციელდება ბოტანიკური ბაღის საკუთარი ეკონომიკური შემოსავლების სახსრებიდან.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურების შესრულება უზრუნველყოფს სათანადოდ ხარისხით, პროფესიულად.
3.2 დამკვეთი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს მომსახურებით გათვალისწინებული და ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული პირობების დაცვით ინვოისის თანხის გადახდა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ხელმომწერი მხარეები ვალდებულნი და პასუხისმგებელნი არიან ხელშეკრულების ყველა პირობის შესრულებაზე.
4.2 გადასახდელი თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში “შემსრულებელი” უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

5. სახელშეკრულებო პირობების შეცვლა, შეწყვეტა ან ვადამდე მოშლა

5.1 თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია და წარუდგინოს ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

5.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა განხორციელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, თუ მათი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, მათ შორის მიწისძვრით, წყალდიდობით, ხანძრით, ეპიდემიით და სხვა.

6.2 დაუძლეველ ძალად ითვლება საგანგებო გარემოება, რომელიც შეიქმნა მხარეთა ნების გარეშე და რომლის მოქმედებასაც მათ არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიონ. იმ პირობების გათვალისწინებით, რომ შექმნილ სიტუაციაში მათ მიიღეს და გაატარეს ყველა ღონისძიება, რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო.

7. დავათა განხილვა

7.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ურთიერთშეთანხმების გზით მოაგვარონ ყოველგვარი სადავო საკითხი წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან.

7.2 თუ დავის გადაჭრა არ მოხერხდება ურთიერთშეთანხმების გზით, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

8. კონფიდენციალობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც ეხება მხარეთა ბიზნესის სპეციფიკას და/ან შეადგენს მხარეთა კომერციულ საიდუმლოებას, ასევე ის ინფორმაცია, რომლის გაცემაც ლახავს მხარეთა ინტერესებს, მკაცრად კონფიდენციალურობა და მისი გამჟღავნება მხარეთა მიერ იწვევს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

8.2 მხარეები აცხადებენ სრული პასუხისმგებლობით, რომ მათ გააჩნიათ სრული ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება დადონ ეს ხელშეკრულება და არანაირი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც მათ არ შეეძლებოდათ ან საეჭვო იქნებოდა მათ მიერ ამ ხელშეკრულების დადება, მათ შორის სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყოფნა და სხვა. ამასთან, მხარეები აცხადებენ თანხმობას არ დადონ ისეთი ხელშეკრულება, რაც ეწინააღმდეგება და ხელს უშლის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას.

8.3 ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული საფუძვლის არსებობისას ხელშეკრულების დაზარალებული მხარე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად გაწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება და დააკისროს დამრღვევ მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 ფურცელზე 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

9.3 ისეთ შემთხვევაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი:

ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი
ს/ნ: 404405960
მისამართი.: თბილისი, ბოტანიკურის ქ. #1
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი თღEშGE22
ანგ. #741 887 499

დირექტორი
თამაზ დარჩიძე

შემსრულებელი:

შპს „ჯმტ-ქარხანა“ 405260989

მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. 1
ს/კ 405260989
სს თიბისი ბანკი
ანგარიში: GE50TB7556136080100004

დირექტორი:
გიორგი დარცმელია